საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გამოცანების თეატრი

გამოცანების თეატრი, ქართული სახიობის ჟანრი. აღმოცენდა გამოცანის ამოხსნის ხალხ. სანახაობიდან, რ-შიც მონაწილეობდნენ მთქმელი (მთხზველი) და გამომცნობელი. შემდგომში იგი სახიობის ჟანრად იქცა და პროფ. მსახიობები ასრულებდნენ. გ. თ-ის წარმოდგენის აღწერილობა შემონახულია XVII ს. ქართ. პოემაში „სიბილაიანი“.

გ. თ-მა XIX ს. 80-იან წლებამდე მოაღწია „ნაღლის“ სახელწოდებით. ამბავს გალექსავდნენ, შემდეგ სხვადასხვა ხმასა და კილოს შეურჩევდნენ და დაკითხვა-მიგებით წარმოადგენდნენ.

ლიტ.: გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, *თხზ.* კრ. ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1963; კ ე კ ე ლ ძ ე კ., გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველს საქართველოში, წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1945; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, წგ. 1, თბ., 1948.

დ. ჯანელიძე